ზუგდიდი რაიონული სასამართლოს

საკონკურსო - საატესტაციო კომისიის სხდომის

ოქმი №3

ქ. ზუგდიდი 24 დეკემბერი, 2013 წელი

საკონკურსო - საატესტაციო კომისიის სხდომას თავმჯდომარეობდა - ზუგდიდის რაიონული სასამართლოს თავმჯდომარე, საკონკურსო - საატესტაციო კომისიის თავმჯდომარე - **ნატრული აკობია;**

სხდომას ესწრებოდნენ:

საკონკურსო - საატესტაციო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე **დავით გელაშვილი** - ზუგდიდის რაიონული სასამართლოს მოსამართლე;

საკონკურსო - საატესტაციო კომისიის წევრები :

ირაკლი აბშილავა - ზუგდიდის რაიონული სასამართლოს მოსამართლე;

ბესიკ ქარდავა - საქართველოს საჯარო მოსამსახურეთა პროფესიული გაერთიანების ზუგდიდის რეგიონული ორგანიზაციის თავმჯდომარე.

რონა პერტია - დამოუკიდებელი ექსპერტი, შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის იურიდიული განყოფილების უფროსი,

ლაურა მიქავა - საკონკურსო-საატესტაციო კომისიის მდივანი.

სხდომის დღის წესრიგით გათვალისწინებული იყო ერთი საკითხი : ზუგდიდის რაიონული სასამართლოს აპარატის ვაკანტურ თანამდებობებზე ჩატარებული კონკურსის შედეგების შეჯამება.

კომისიის წევრებმა მოისმინეს ნატრული აკობიას ინფორმაცია რომლის თანახმადაც 2013 წლის 12 ნოემბერს ,,საჯარო სამსახურის შესახებ " საქართველოს კანონის შესაბამისად, გამოცხადდა კონკურსი ზუგდიდის რაიონული სასამართლოს აპარატში, შემდეგი ვაკანტური თანამდებობების დასაკავებლად:

N	თანამდებობის დასახელება	ვაკანსია
1	სასამართლოს მენეჯერი-საკადრო და საორგანიზაციო საკითხთა განყოფილების უფროსი	1

2	თარჯიმანი	1
3	ქსელის ადმინისტრატორი	1

კონკურსში მონაწილეობის მისაღებად, მათგან, ვინც განცხადება წარადგინა ელექტრონული ფორმით საჯარო სამსახურის ბიუროს მიერ ადმინისტრირებული ვებგვერდის მეშვეობით, საკონკურსო-საატესტაციო კომისიის 2013 წლის 04 დეკემბრის №2 ოქმის თანახმად წარმატებით გაიარა აპლიკაციათა შერჩევის ეტაპი და დაბარებული იქნა გასაუბრებაზე, შემდეგი პირები:

I. სასამართლოს მენეჯერის - საკადრო და საორგანიზაციო საკითხთა განყოფილების უფროსის ვაკანსიაზე :

1. ფიქრია შონია

II. სასამართლოს აპარატის საკადრო და საორგანიზაციო საკითხთა განყოფილების თარჯიმანის ვაკანსიაზე:

1. თამარ გოგია

III. სასამართლოს აპარატის საკადრო და საორგანიზაციო საკითხთა ქსელის ადმინისტრატორი:

1. დიმიტრი ნარმანია
2. თამრიკო გოგოხია
3. გელა კვატაია
4. სერგო ქადარია

1.კონკურსში მონაწილეობის მისაღებად სასამართლოს აპარატის საკადრო და საორგანიზაციო საკითხთა ქსელის ადმინისტრატორის ვაკანსიაზე კონკურსში მონაწილეობის მისაღებად არ გამოცხადდნენ:

1. სერგო ქადარია
2. გელა კვატაია

კონკურსის პროცედურებთან დაკავშირებით რაიმე პრეტენზია არ დაფიქსირებულა.

საკონკურსო საატესტაციო კომისიის მიერ კონკურსში მონაწილე თითოეულ პირს ცალ-ცალკე ეყარა კენჭი. აღინიშნა კონკურსანტების ცოდნა და გამოცდილება, პიროვნული მახასიათებლები. მიენიჭათ შესაბამისი შეფასებები.

1. სასამართლოს მენეჯერის-საკადრო და საორგანიზაციო საკითხთა განყოფილების უფროსის ვაკანსიაზე გამოცხადებულ პირს ფიქრია შონიას მხარი არ დაუჭირა კომისიის არც-ერთმა წევრმა. შესაბამისად, კენჭისყრაზე დადგა საკითხი სასამართლო მენეჯერის

- საკადრო და საორგანიზაციო საკითხთა განყოფილების უფროსის ვაკანსიაზე კონკურსის ჩაშლილად გამოცხადების და ახალი კონკურსის გამოცხადების შესახებ, რასაც მხარი დაუჭირა კომისიის ყველა წევრმა.

2. ქსელის ადმინისტრატორის ვაკანსიაზე გამოცხადებულ პირებს დიმიტრი ნარმანიას და თამრიკო გოგოხიას მხარი არ დაუჭირა კომისიის არც-ერთმა წევრმა. შესაბამისად, კენჭისყრაზე დადგა საკითხი ქსელის ადმინისტრატორის ვაკანსიაზე კონკურსის ჩაშლილად გამოცხადების და ახალი კონკურსის გამოცხადების შესახებ, რასაც მხარი დაუჭირა კომისიის ყველა წევრმა.

3. თარჯიმნის ვაკანსიაზე გამოცხადებულ პირს თამარ გოგიას მხარი არ დაუჭირა კომისიის არც-ერთმა წევრმა. შესაბამისად, კენჭისყრაზე დადგა საკითხი სასამართლოს თარჯიმნის ვაკანსიაზე კონკურსის ჩაშლილად გამოცხადების და ახალი კონკურსის გამოცხადების შესახებ, რასაც მხარი დაუჭირა კომისიის ყველა წევრმა.

კომისიის თავმჯდომარე

ნატრული აკობია -

თავმჯდომარის მოადგილე

დავით გელაშვილი -

კომისიის წევრი

ირაკლი აბშილავა -

კომისიის წევრი

რონა პერტია -

კომისიის წევრი

ბესიკ ქარდავა -